ხელშეკრულება №61
შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 24 აპრილი 2019 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ (ს/კ 417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი“), მისი დირექტორის გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. რაული ბადალოვი ს/კ 24001035218 წარმოდგენილი მისი დირექტორის რაული ბადალოვის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“),ვხელმძღვანელობთ რა საქართველში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულენის საგანია: ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ -ს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ელ.სადენისა (CPV31321210) და შლანგი გოფრირებული (CPV44165100) შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1.შესყიდვის ობიექტია:

1. ელ.სადენი 152 მეტრი, ერთი მეტრის ღირებულება 1.45 (ერთი ლარი და 45 თეთრი) ლარი, სულ 220.40 (ორასოცი ლარი და 40 თეთრი) ლარი.
2. შლანგი გოფრირებული 330 მეტრი, ერთ.ფასი 0.70 ლარი, სულ 231.00 (ორასოცდათერთმეტი) ლარი

3.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.3.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 451.40 (ოთხასორმოცდათერთმეტი ლარი და 41 თეთრი) ლარს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოახდინოს დროული მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 01 მაისის ჩათვლით.

5.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. გორი, ცხინვალის გზ.5ა

5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები ან საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3.ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. და 6.1. მუხლებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 კალენდარულ დღეში.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.გურამიშვილის ქ.5.

8.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
–შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2.შემსყიდველი ვალდებულია:
–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3.მიმწოდებელს უფლება აქვს:
–მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4.მიმწოდებელი ვალდებულია:
–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის
შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;
9.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულე.ბლობით;
9.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5ხელშეკრულებით გათვალ;ისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო .ღირებულების 0,02 %-ს ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,
როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2.თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება.ხელშეკრულების ინსპექტირებას და საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს შესყიდვების სპეციალისტი ავთანდილ ლობჟანიძე. ინსპექტირების მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;
14.2..შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;
14.3.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი“

ა (ა) იპ “გორის მუნიციპალიტეტის
ფეხბურთის კლუბი გორი”
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. №5
საბანკო რეკვიზიტები: ბანკის სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22

„მიმწოდებელი“

ი.მ. რაული ბადალოვი
მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზ. 5ა
საბანკო კოდი: LBRTGE22
ანგ.ნომერი: GE03LB0112159306159000

დირექტორი: გ. ისიანი

დორექტორი: რ. ბადალოვი